



## დაუსწრებელი გადაწყვეტილება

საქართველოს სახელით

მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო

02 მარტი, 2011 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლო  
სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა

თავმჯდომარე, მომხსენებელი – ლილი ტყემალაძე  
მოსამართლები – თამარ ზამბაზიძე  
ქეთევან კუჭავა

სხდომის მდივანი – ლელა მეტრეველი

აპელანტი – სედა გრიგორიანი

მოწინააღმდეგე მხარე – ირაკლი პაჭკორია

დავის საგანი – სახლის ნაწილზე მესაკუთრედ ცნობა, ქონების უკანონო  
მფლობელობიდან გამოთხოვა

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული  
სასამართლოს 2003 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება

სააპელაციო საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული  
გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება

## გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებით სედა დაშტოიანის სარჩელი მოპასუხე დარეჯან მალასიძის მიმართ სახლის ნაწილზე მესაკუთრედ ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა. ამავე გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა დარეჯან მალასიძის შეგებებული სარჩელი და სედა დაშტოიანი (გრიგორიანი) თანმხლებ პირებთან ერთად გამოსახლებულ იქნა ქ. თბილისში, ამაღლების შეს. №3-ში მდებარე ბინიდან.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სედა დაშტოიანმა (გრიგორიანმა) და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ნოემბრის საოქმო განჩინებით აპელანტ სედა გრიგორიანის წარმომადგენლის დავით კურტანიძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და სამოქლაქო საქმეში №2ბ/11-06 მოწინააღმდეგე მხარის – დარეჯან მლასიძის უფლებამონაცლებად ჩაბმულ იქნენ მაია ჯიბუტი და ირაკლი პაჭკორია. აღნიშნულ განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მაია ჯიბუტმა, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 დეკემბრის საოქმო განჩინებით შეჩერდა საქმის წარმოება სედა გრიგორიანის სააპელაციო საჩივარზე და საქმე გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს კერძო საჩივრის განხილვის მიზნით.

საქრთველოს უზენაესი სასმართლოს 2010 წლის 29 მარტის განჩინებით მაია ჯიბუტის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ნოემბრის განჩინება დარეჯან მალასიძის უფლებამონაცლებ მაია ჯიბუტის ცნობის ნაწილში, დანარჩენ ნაწილში განჩინება დარჩა უცლვლელად.

თბილისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 აპრილის განჩინებით საქმის წარმოება განახლდა სედა გრიგორიანის საპელაციო საჩივარზე.

სააპელაციო პალატის მიერ დანიშნული იქნა სხდომები სააპელაციო საჩივრის განხილვის მიზნით, თუმცა საქმის არსებითი განხილვა ვერ განხორციელდა, ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარეს ირაკლი პაჭკორიას ვერ ბარდებოდა სასამართლო უწყება სასამართლოსათვის ცნობილ მისამართზე.

2011 წლის 02 მარტს 16:15 საათზე დაინიშნა კიდევ ერთი სასამართლოს მთავარი სხდომა სედა გრიგორიანის სააპელაციო საჩივარზე.

სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა საქმის განხილვისა და გაჭიანურების თავიდან აცილების გარემოებებზე, გაითვალისწინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრული დებულებები და მიიჩნია, რომ ვინადან მხარის ადგილსამყოფელი უცნობია და მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, მიზანშეწონილია — ირაკლი პაჭკორიას საქმის განხილვის დრო და ადგილი უცნობობოს საჯარო შეტყობინების გზით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში — მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

ყოველივე ზემაღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სააპელაციო პალატამ მიიჩნია, ირაკლი პაჭკორიასთვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 02 მარტის 16:15 საათის სასამართლო სხდომის თარიღი ეცნობებინა ვებგვერდზე განთავსებით გზით. აღნიშნულის თაობაზე, თბილისი სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 თებერვლის განჩინება სასამართლო შეტყობინების თაობაზე საჯაროდ განთავსდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე ([www.tbappeal.court.ge](http://www.tbappeal.court.ge)) 18.02.2011წ., შესაბამისად სასამართლო უწყება ირაკლი პაჭკორიასთვის ჩაბარებულად ჩაითვალა სასამართლო შეტყობინების ვებგვერდზე განთავსებიდან მე-7 დღეს 25.02.2011წ. მიუხედავად ამისა, მოწინააღმდეგე მხარე — ირაკლი პაჭკორია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდა და სასამართლოსათვის არც გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ უცნობებია. აპელანტმა სედა გრიგორიანმა იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ.

### **სააპელაციო საჩივრი ემყარება შემდეგ გარემოებებს:**

- აპელანტი მიუთითებს, რომ 1969 წელს 2500 მანეთად შეიძინა ქ. თბილიში, ამაღლების ქ. №3-ში მდებარე ერთი ოთახი 16 კვ.მ. აპელანტის მითითებით ყიდვა-გაყიდვა მოხდა შინაურული ხელშეკრულების საფუძველზე და მის მიერ

სასამართლოში წარმოდგენილი იქნა ამ ხელშეკრულების მეორე ეგზემპლარი (რომელიც მის ხელთ იმყოფებოდა), რომელზეც ხელშეკრულების მხარეების ხელმოწერა არ არის, მაგრამ დადასტურებულია სახლის მეპატრონის კუთვნილი ბეჭდით. სახლის მეპატრონე იყო მარიამ დავითიანი, რაც დასტურდება ტექალრიცხვის ბიუროდან გამოთხვილი პასუხით. ის რომ აღნიშნულ მისამართზე 1969 წლიდან ცხოვრობს გრიგორიანის ოჯახი დასტურდება სახლმმართველობის მიერ გაცემული ფორმა №1-ით. ასევე ს. დაშტოიანს კალინინის რ-ნის აღმასკომის 1970 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებით ნება დაერთო თავისი ბინის წინ მდებარე ღია აივნის შემინვაზე. ასევე დაშტოიანს დამოუკიდებლად ჰქონდა ბინაში დამონტაჟებული გაზგაყვანილობა და თბილგაზში იყო აღრიცხვაზე აყვანილი, როგორც დამოუკიდებელი ოჯახი.

- აპელანტის განმარტებით სსიპ ლევან სამახარულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 10.04.2009წ. დაკვნის შესაბამისად დადგინდა, რომ ქ. თბილისში, მთაწმინის რაიონში, სედა დაშტოიანის მიერ პირველ სართულზე დაკავებული ფართის (ფართით 19,44 კვ.მ.) საბაზრო ღირებულება 2009 წლის აპრილის თვის მდგომარეობით საორიენტაციოდ შედაგენს 8 500 აშშ დოლარს ექვივალენტს ლარში, ხოლო კედელში შეჭრილი ფართის (დაახლოებით 2 კვ.მ.) საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ შეადგენს 300 აშშ დოლარს ექვივალენტს ლარში. იგი თანახმაა გადაიხადოს მის მიერ დაკავებული სადავო ბინის საბაზრო ღირებულების 10 %, რაც განსაზღვრულია ექსპერტიზის დასკვნით, რის სანაცვლოდ იგი ცნობილ უნდა იქნეს ამაღლების შესახვევ №3-ში მდებარე №3 ოთახის და მის წინ არსებული შემინული აივნის მესაკუთრედ.
- აპელანტის მითითებით ამჟამად ოთახი №3 უკანონდ ირიცხება მოპასუხე დარეჯან მალასიძის სახელზე, რადგანაც მ. დავითიანის სიკვდილის შემდეგ ამაღლების ქ. №3-ში მდებარე სახლთმფლობელობა მთლიანად მემკვიდრეობით გადავიდა მის სახელზე, რომლის უფლებამონაცვლესაც დღეს წარმოადგენს ირაკლი პაჭკორია.
- ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სედა გრიგორიანის (დაშტოიანი) განმარტებით რაიონულმა სასამართლომ არ გაითვალისწინა მის მიერ მითითებული გარემოებები და მიიღო უკანონო გადაწყვეტილება. შესაბამისად, აპელანტმა მოითხოვა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 15 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკამყოფილება - თბილისი, ამაღლების შეს. №3-ში მდებარე სახლთმფლობელობის №3 ოთახის მესაკუთრედ ცნობა, ამასთან დარეჯან მალასიძის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

პალატა გაეცნო რა სააპელაციო საჩივარს და საქმის მასალებს, მიაჩნია, რომ მასში მთითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებენ აპელანტის მოთხოვნას და სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით, სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას. 387.3 მუხლის შესაბამისად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არსებული აქტით დასტურდება, რომ მოწინააღმდეგე მხარე – ირაკლი პაჭკორიას 2011 წლის 02 მარტის 16:15 საათზე დანიშნული სხდომის დღისა და გამოცხადებლობის შედეგებთან დაკავშირებით, გაფრთხილებულ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

პალატა განმარატვს, თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდება აპელანტი მხარე, მაგრამ არ გამოცხადდება მისი მოწინააღმდეგე, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ შემდეგი პირობების არსებობის შემთხვევაში:

- აპელანტი შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე;
- არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით;

— სააპელაციო საჩივარში მითითებული და აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობით დამტკიცებულად ჩათვლილი გარემოებები იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას.

მოცემულ შემთხვევაში, აპელანტი შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას. საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ სააპელაციო სასამართლოს მთავარი სხდომის შესახებ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს ეცნობა კანონით დადგენილი წესით და მისი გამოუცხადებლობის რაიმე საპატიო მიზეზი სასამართლოსათვის უცნობია. აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო დამტკიცებულად ითვლება.

პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული და აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობით დამტკიცებულად ჩათვლილი გარემოებები იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას. „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის პირველი პუნქტის თანახმად თუ მხარეებს შორის არსებობს წერილობითი შეთანხმება საცხოვრებელი სადგომის ნასყიდობაზე (სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე), მესაკუთრეს უფლება აქვს მოსარგებლეს მოსთხოვოს საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა, მხოლოდ მოსარგებლისთვის (ან თავდაპირველი მოსარგებლის უფლებამონაცვლისთვის) დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 90%-ის გადახდის შემთხვევაში. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მესაკუთრე უარს აცხადებს მოსარგებლისთვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდაზე, მოსარგებლეს უფლება აქვს მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ანაზღაურების (დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 10%) სანაცვლოდ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა.

ამდენად, აღნიშნული ნოერმის საფუძველზე საპელაციო პალატას მიაჩნია, სააპელაციო საჩივარში აღნიშნული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნებს.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 236-ე, 237-ე, 230-ე 372-ე, 387-ე მუხლებით და

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სედა გრიგორიანის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო;

2. გაუქმდეს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
3. სედა გრიგორიანის სარჩელი დაკმაყოფილდეს.
- სედა გრიგორიანი ცნობილ იქნეს ქ. თბილისი, ამაღლების შესახვევი №3-ში მდებარე №3 ოთახისა და მის წინ არსებული შემინული აივნის მესაკუთრედ ირაკლი პაჭკორიასათვის 880 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში გადახდის სანაცვლოდ.
4. დარეჯან მალასიძის უფლებამონაცვლის ირაკლი პაჭკორიას შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
5. მხარეს, რომელიც არ გამოცხადებულა სასამართლო სხდომაზე, რის გამოც მის წინააღმდეგ გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია ასეთი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში — თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში (თბილისი, გრიგოლ რობაქიძის 7ა) შეიტანოს საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ 10 (ათი) დღის განმავლობაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის გადაცემიდან.

თავმჯდომარე:

/ლილი ტყემალაძე/

მოსამართლეები:

/თამარ ზამბაზიძე/

/ქეთევან კუჭავა/